№01-08-17/38-2023-4

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს

შპს „საქართველოს მელიორაციასა" და

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის

ერთი მხრივ, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შპს „საქართველოს მელიორაცია" წარმოდგენილი დირექტორის **თენგიზ ნასარიძის** სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი (შემდგომში „უნივერსიტეტი"), წარმოდგენილი რექტორის **დავით გურგენიძის** სახით, ერთობლივად წოდებული, როგორც „მხარეები", სარგებლობენ რა ურთიერთგაგებისა და პატივისცემის პრინციპით, გამოხატავენ ურთიერთთანამშრომლობის სურვლის და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. შეთანხმების მიზანი

1. მხარეებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება;
2. ერთობლივი ღონისძიებების განხორციელება;
3. ბაკალავრების, მაგისტრების, დოქტორანტების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, პრაქტიკის/სტაჟირების გავლა და კვალიფიციური კადრების მომზადება;

4. სხვადასხვა სამეცნიერო ან / და შემეცნებითი პროექტების ერთობლივად განხორციელება.

მუხლი 2. ერთობლივი პროგრამები

მხარეები იმუშავებენ შემდეგი მიმართულებებით:

ა) მონაწილეობას მიიღებენ სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო/პრაქტიკული ღონისძიებების შემუშავებასა და განხორციელებაში (ინფორმაციის გაცვლა, მეთოდური დახმარება, ექსპერტული კონსულტაციები, საჯარო ლექციების ორგანიზება და ა.შ);

ბ) დაგეგმავენ და განახორციელებენ ერთობლივ შეხვედრებს, სემინარებს, კონფერენციებს, ტრენინგებს და სხვა;

გ) დაგეგმავენ ერთობლივ პროექტებს/საერთაშორისო აქტივობებს და იმუშავებენ ამ პროექტების განსახორციელებლად გრანტების მოძიების მიმართულებით;

დ) უნივერსიტეტის წარმატებული სტუდენტები პრაქტიკულ სწავლებას გაივლიან შპს, ,,საქართველოს მელიორაციაში", ასევე რეგიონების სერვის ცენტრებში.

ე) სტუდენტს ექნება დასაქმების შესაძლებლობა.

მუხლი 3. პროგრამების განხორციელება

მემორანდუმით გათვალისწინებული ერთობლივი ღონისძიებების, აგრეთვე ცალკეული აქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის მოლაპარაკების და შეთანხმების გზით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 4. სხვადასხვა დებულებები

4.1 დაუშვებელია მოცემული მემორანდუმის რომელიმე დებულების შეცვლა, მოდიფიცირება, უარყოფა, გაუქმება ან შეწყვეტა მხარეთა წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.2 თუ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ან მემორანდუმის რომელიმე დებულება მიიჩნევა ძალადაკარგულად, ეს გავლენას არ იქონიებს მემორანდუმის, როგორც მთლიანი დოკუმენტის იურიდიულ ძალასა და კანონიერებაზე;

4.3 წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ქართულ ენაზე.

4.4 მემორანდუმი ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს **შვიდი წლის** ვადით. მხარეებს შეუძლიათ ,ურთიერთშეთანხმებით, გააგრძელონ მემორანდუმის მოქმედების ძალა;

4.5 მემორანდუმის მოქმედება შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს, მემორანდუმის შეწყვეტის ინიციატორის მიერ წინასწარ - ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
შპს „საქართველოს მელიორაცია“
მის: 0114, საქართველო, თბილისი,
გ. გულუას ქ. №6
WEB – https://www.ag.ge/
E-mail: info@ag.ge

დირექტორი თენგიზ ნასარიძე

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტი
მის: 0171, საქართველო,
თბილისი, კოსტავას 77

WEB – www.gtu.ge
E-mail: rectoroffice@gtu.ge

რექტორი დავით გურგენიძე

თარიღი: